ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №27
2020 წლის 9 სექტემბერი

დაბა ადიგენი

„ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 3 აპრილის №37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება ,,ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 3 აპრილის №37 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 12/04/2018 010250050.35.137.016387) კერძოდ:

1) დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-3 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „კ“ და „ლ“ პუნქტები:

„კ) სამართლებრივ დახმარებას, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის ღონისძიებების განსაზღვრის მიზნით მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ინტერდისციპლინარული განხილვის პროცესში; ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოების ორგანიზებას და სამსახურის უფროსის გადაწყვეტილების პროექტების მომზადებას; ბავშვის ინდივიდუალური მხარდაჭერის გეგმის სამართლებრივ ექსპერტიზას; ბავშვის/ოჯახის სამართლებრივ კონსულტირებას.

ლ) ახორციელებს ზედამხედველობას მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბავშვთა დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობის შესრულებასთან დაკავშირებით.“

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **იმედა მღებრიშვილი**